წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა შეერთდით, შეიარაღდით!

კომუნისტი

ბსრ ა. კ. პ. (ბ) ცენტრ. და ცკ. კომპარტიის და სახ. კომისრების საბჭოს ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოსი—10—58, მას. კონტორის—8—91.

ოთხშაბათი, 15 ივნისი 1932 წ. № 138 (3392)

ვემზადოთ მოსავლის აღებისათვის

თესვა დასასრულს უახლოვდება. მიმდინარე წლის 10 ივნისისათვის მთელს საქართველოში დათესილი იყო 637.846 ჰექტარი, შესრულებული იყო გეგმის 90,6 პროცენტი, რაც 59.202 ჰექტარით აღემატება იმ ფართობს, რომელიც დათესილი იყო 1931 წლის 10 ივნისისათვის.

თესვის კამპანიის საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობას თან ერთად, ჩვენს წინაშე იჭერება მეტის-მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა: ნათესების მოვლა-დამუშავება და მოსავლის აღების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტმასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანას ბრიგადაში. თითეულ კოლმეურნემ ნათლად უნდა იცოდეს, რომ მოსავლის განაწილების ახალი წესის თანახმად მათი შრომადღეების რეალური ანაზღაურება გადიდებული ან შემცირებული იქნება იმის მიხედვით, თუ რამდენად პაყოფიერად მუშაობდა მთელი ბრიგადა.

მოსავლის აღების კამპანიის ჩატარების დროს ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავტოვებთ უყურადღებოთ ინდივიდუალურ სექტორს. მოსავლის აღების გეგმებში, რომელიც შედგენილი იქნება თითეულ რაიონში, სოფელში, კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიებანი, რაის და საუკეთესო გლეხთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

მოსავლის აღების კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახოგადოებრივი კვების მოწყობას მინდვრად. მოსავლის აღება მოითხოვს დამკვრელ და შეუწყვეტელ მუშაობას. ამოცანა აქ მდგომარეობს იმაში, რომ მოსავლის აღება დამთავრდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში. აქედან გამომდინარე — ჩვენ უნდა ვეცადოთ რათა არ დაუშვათ კოლმეურნეების სამუშაოდან მოწყვეტა და მათი გაცდენა, რასაც ხშირად იწვევს საზოგადოებრივი კვების მოუწყობლობა მინდვრად. მომარაგების კომისარიატმა, ცეკავშირის სისტემამ და კოლმეურნეცენტრმა ამ მიმართულებით ახლავე უნდა გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები:

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჭოსავლის დაცვას. წარსულში ჩვენ გვქონდა მრავალი შემთხვევები, როდესაც გაუფრთხილებლობისა და უპასუხისმგებლობის გამო წყალმა წაიღო და ქვიშამ შეთანქა ათიათასი ფუთობით აკრეფილი მოსავალი. კულაკები და მათი აგენტები, რომელნიც ვერ ურიგდებიან საკოლმეურნეო მშენებლობის ზრდას შეუძლებიან სადაც კი ამას შესძლებენ, ცდილობ მისცენ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობების შირნახული. ეს გვავალებს ვიყოთ ფხიზლად და დავიცვათ მოსავალი.

რაიონის და სოფლის პარტიული ორგანიზაციები პარტიის და ხელისუფლების სადირექტივო ორგანოებს უგზავნიან პატაკებს თესვის გეგმების გადაჭარბებით შესრულების შესახებ, ეს კარგია მაგრამ ამოცანა ამით როდი იწურება. მომავალში თითეული **პარტიული ორგანიზაციის მუშაობა შეფასებული იქნება იმის მიხედვით, თუ რამდენ ფუთ მოსავალს აიღებენ ისინი თითეულ ჰექტარიდან.**

მოსავლის აღების მასიურად გაშლამდე ცოტა დრო იარჩია. დავიზამოთ მთელი ძალები და მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ ტეხნიკური, მასიცლეული, ბოსტნეული და სხვა კულტურების არც ერთი კალოზრომი მოსავალი არ დარჩეს აუღებელი.

საქართველოს ცაკის სესია

გუშინ საღამოს სრულ რვა საათზე სასახლის წითელ დარბაზში ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეექვსე მოწვევის მეორე სესია. სესიამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. ანგარიშგება 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ (მომხსენებელი ამხ. დ. ჭურსულორია).

2. მოხსენება სას. სამ. გადასახადი შესახებ (მომხ. ამხ. თათარაშვილი).

3. მოხსენება საგზაო მშენებლობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ვ. ქუთელაძე).

4. თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების გეგმა (მომხ. ამხ. ბ. მაჩაიძე).

5. ცაკის სესია და სესიას შორის ძირეული საკონსტიტუციო აქტების დამტკიცება (მომხ. ამხ. ხ. თოდრია.).

6. ორგანიზაციული საკითხები.

სესიის პირველ სხდომაზე **საქ. ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოკლე ინფორმაციული მოხსენებით** გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე.

საქ. ცაკის სესიის მეორე სხდომა ყოველი დღეს, დილის 10 საათზე სასახლის წითელ დარბაზში. პირველ საკითხზე 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებით გამოვა ამხ. დ. ჭურსულორია.

სტალინსში მიღებულია 2 ელექტრომავალი

სტალინისი, 14 ივნისი (ტელეფონით). 14 ივნისს, საღამოს 9 საათზე სტალინისში მიღებული იქნა 2 ელექტრომავალი.

საღამოს ხუთი საათიდან სტალინისის სადგურზე თავი მოიყარა ელექტროფიკაციის მუშებმა და სტალინისის მუშა-მოსამსახურეებმა.

სადგურზე გაიხსნა მიტინგი, რომელზედაც, სტალინისის რაიკომის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ხარებავამ, ელექტროფიკაციის სამუშაოთა უფროსმა ამხ. ლევინმა** და ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. გურჯიშვილიმა.

კ. კალანდაძე.

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

ქვანახშირი

ტყიბული, 13 ივნისი. (საქ. კშრ.) 11 ივნისს ტყიბულის მაღაროებში ამოიღეს 747 ტონა ქვანახშირი, დიღური დავალების 74,7 პროცენტი. ქვანახშირის ამოღებაზე მუშაობდა 1030 მუშა. შრომის ნაყოფიერება თითო მუშაზე უდრიდა 653 კილოგრამს. რკინის გზამ დამზადებულ ქვანახშირის გასაზიდათ მოთხოვნილ 42 ვაგონის ნაცვლად მაღაროებს მიაწოდა 33 ვაგონი.

მაღაროებში გაუპიროვნებულია მექანიკური მოკუმბილება, რის გამო გაცდენებმა საგრძნობლად იმატა, ასე მაგ.: 10 ივნისს ელექტრო ხაზის დაზიანების გამო გაცდა ღამის ცვლა. 11-შიც ადგილი ჰქონდა გაცდენას. აღმოსავლეთ უბანში 11 ივნისს ღამის ცვლაში არ სწარმოებდა მუშაობა. საჭიროა მაღაროების სამკუთხედმა გააძლიეროს ბრძოლა გაუპიროვნების აღმოსაფხვრელად.

ო. ჯავახაძე.



ახალი იმპერიალისტური ომის მზადების წინააღმდეგ საბრძოლველად

პარიზი, 13 ივნისი. ომის საწინააღმდეგო მსოფლიო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტი ენერგიულ ყოველდღიურად დებულობს სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან ცალკე პირებისაგან მრავალრიცხოვან გამოხმაურებებს კონგრესში მონაწილეობის შესახებ. განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი თავის განცხადებაში მოუწოდებს ყველა ქვეყნის გონიერ მუშაკებს გამოვიდნენ მუშათა კლასთან ერთად იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად.

საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო საფრანგეთის სტუდენტთა ფედერალური ცენტრის, სპორტსმენ მუშათა ფედერაციის, საფრანგეთის ქალთა ომის წინააღმდეგო ლიგის, რკინის გზელთა პროფკავშირისა და სხვა ორგანიზაციების განცხადებანი. „ეუა პეიზან"-ი აქვეყნებს საფრანგეთის სხვადასხვა ოლქების გლეხთა განცხადებებს, რომლებშიაც ფრანგი გლეხები აცხადებენ მიიღონ მონაწილეობა ომის საწინააღმდეგო კონგრესში (ადს).

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება

პარიზი, 13 ივნისი. მაკდონალდი და **სამიონი** 11 ივნისს ჩამოვიდენ პარიზში, სადაც მათ შეხვდენ ერიო და მთავრობის სხვა წევრები (ადს).

პარიზი, 13 ივნისი. ჰავასის სააგენტო ატყობინებენ, რომ მაკდონალდსა და ერიოს შორის გამართული საუბარი მეტად ზოგადი ხასიათს ატარებდა. მაკდონალდი ცდილობდა ერიოსთან ამ შესვლის თვალსაზრისი ძირითად საკითხებზე. თუმცა მაკდონალდიც ისევე უარყოფითად ეკიდება საერთაშორისო ვალების ცალმხრივ გაუქმებას, რო გორც ერიო, მაგრამ იგი, როგორც სჩანს, მაინც თანახმაა მიიღოს გადაწყვეტილება ერიოსაგან გაანალიზოს სხვადასხვა პრეტენზია ხატო, საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე — საჭიროა სრულიად ობიექტურად წარმოსადგენი ამბ. ტროიანოვსკ, ადგილიანი კატო და მთელი რიგი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი და საქმიანი წრეების წარმომადგენელნი.

პრესაც კანონმა, იაპონიის პრემიერ სატომ და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამბ. ტროიანოვსკიმ ორმოთქვეს სიტყვები, რომლებშიც აღნიშნეს ის დიდი როლი, რომელსაც საზოგადოება ასრულებს საქმიანი და იაპონიას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების და განვითარების საქმეში (ადს).

საფრანგეთის მთავრობის საფინანსო პუნქტი

პარიზი, 13 ივნისი. „ეკო დეპარი" ამტკიცებს, რომ მინისტრთა კაბინეტში მწვავეება საშინაო კონფლიქტი. ფინანსთა მინისტრი და ბიუჯეტის მინისტრი გადადგებიან, თუ ეკლისის დამხვევს დეპუტატთა პალატა არ მიიღებს მათ საფინანსო პროექტს. ამასთან დაკავშირებით, „ტემპო" აღნიშნავს საკითხი საფინანსო პროექტის დამუშავების შესახებ, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას „მემარცხენეების" ხმებით საპარლამენტო არდაუგებამდე". პროექტში, თითქოს, გათვალისწინებული იქნება სამხედრო ხარჯების შემცირება მილიარდ ნახევარ ფრანკით, აგრეთვე ახალი გადასახადების შემოღება ბიტოტრანსპორტზე, გადასახადების გადიდება ნავთობის უფლებაზე და სხვ. თქმიან, რომ მთავრობა მიიღებს დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის მოსაზრებებს გადაწყვეტილების და უარს განაცხადებს სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ხელფასის შემცირებაზე. (ადს).

გულგარეთის მუშები ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ

ვენა, 13 ივნისი. სოფიიდან მიღებული ცნობებით, მუშათა პარტია მთელს ბულგარეთში ეწევა ენერგიულ კამპანიას ომისა და ანტისაბჭოთა ომის მოშლადების წინააღმდეგ. სოფიის ორ ტყდიდეს საფეიერო ფაბრიკაში შესდგა მუშათა პარტიის მიერ მოწვეული მიტინგები. 8 ივნისს სოფიის მუშურ რაიონებში მუშათა პარტიის ლოზუნგებით დემონსტრაციაზე გამოვიდა 1.000-ზე მეტი მუშა. 9 ივნისს მთელ ბულგარეთში პროფკავშირები, დემონსტრაციები და მიტინგები, უოველივე ეს აკრძალული იყო პოლიციის მიერ. ამ დღეს სოფიის ქუჩები დაკავებული ჰქონდა ცხენოსან პოლიციას. ყველაზე ორი დიდი დემონსტრაცია, რომლებზეც სატყვები წარმოსთქვეს მუშათა პარტიის დეპუტატებმა სტოიანმა და ორუსოვმა. პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, გაჰფანტა ისინი და დაატყვევა დემონსტრაციის 30 მონაწილე, მათ შორის რუსინოვი. ასეთივე დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა სხვაგანაც.

მთელს ბულგარეთში მასიურად ანატიომილეს მუშათა პარტიის აქტივისტებსაც (ადს).

იაპონია-საბჭოთა საზოგადოების წლიური პრეგა

ტოკიო, 13 ივნისი. 11 ივნისს, იაპონია-საბჭოთა საზოგადოების მორიგი წოლიური კრების გამო, საზოგადოების პრეზიდენტის პრინც კანინის (გენერალური შტაბის ახლანდელი უფროსი) თანდასწრებით, მოხდა საზოგადოების წევრთა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრენ საზოგადოების თავმჯდომარე ატოხიდელი პრეზიდენტი ხატო, საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე — საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამბ. ტროიანოვსკი, ადგილიანი კატო და მთელი რიგი სხვა.

გემ „ჟორჟ ფილიპარ"-ის დაღუპვის გამო

პარიზი, 13 ივნისი. სენატის საზღვაო საქმეთა კომისიის ეიცე თავმჯდომარე ბერენგარი სწერს, რომ მას არ სურს რაიმე პოლიტიკა გამოსთქვას გემ „ჟორჟ ფილიპარ"-ის დაღუპვის მიზეზების შესახებ, ოფა ზეგადენა არ მოახდინოს ამ საკითხის შემსწავლელ კომისიაზე, და მხოლოდ მიუთითებს ზომების მიღების საჭიროებაზე, ზომავალში ასეთი კატასტროფების თავიდან აცილების მიზნით. ბერენგარი ჩვენას იძლევა რომ შემდეგში უშიშროების დაცვის მიზნით ნუ ააგებენ მდიდრულად მოწყობილ ოკეანიურ გემებს (ადს).

5 წ. პატიმრობა გაფრცვაში მონაწილეობისათვის

ვარშავა, 13 ივნისი. გაზეთების გადმოცემით, მთავრობის მიერ შეთშაგებული სასჯელის სამართლის ახალი კოდექსის პროექტის თანახმად, ის, ვინც მონაწილეობას მიიღებს „საზოგადოებრივი მოსახერხებელი სამსახურის" ორგანიზაციის ან ხელმძღვანელობის საქმეში, ან ხელს შეუშლის ამ ორგანიზაციის ნორმალურ მუშაობას

პარტიული მშენებლობა

ბოლშევიკურად ჩავატაროთ 31 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მასიური თვითშემოწმება

კონკრეტული პარტხელმძღვანელობით უზრუნველვყოთ თვითშემმოწმებელი ბრიგადები

დაკვრითი ტემპებით გავშალოთ მასიური თვითშემოწმება

თბილისის 7 თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ხაკ. კ.პ. (ბ) ცეკამ მიიღო ისტორიული დადგენილება ხაკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოსსენებათა გამო. ამ დადგენილებაში ცეკამ ა.-კ. პარტორგანიზაციებს მუშაობის საბრძოლო პროგრამა მისცა.

ამ დადგენილების განხორციელებისათვის ა.-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში უდიდესი მუშაობა იქნა ჩატარებული. მთელი რიგი ცენტრალური და რაიონული პარტიული, საბჭოთა და საკოოპმეურნეო ორგანიზაციები ბოლშევიკურად გამოეხმაურენ ცეკას გასული წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებას.

ა.-კავკასიის და საქართველოს განსაკუთრებული პარტბელმძღვანელობით, მუშათა კლასის, კოლმეურნეების და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების მოლშევიკური დარაზმვით 31 ოქტომბრის დადგენილების თვითეული პუნქტის განხორციელებისათვის ნამდვილი გოლშევიკური ბრძოლა დაიწყო. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ხაკ. კ.პ. (ბ) ცეკას გასული წლის 31 ოქტომბრის დადგენილების ცალკე პუნქტების განხორციელებისათვის ჩვენ კიდევ ჩამოვრჩებით და ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი ამიტომ თვითეული ფაბრიკა-ქარხნის, კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობის და სიფლის პარტუჯრედის საბრძოლო ამოცანაა. გამოვაშკარავოთ, თუ როგორ ტარდება ეს გადაწყვეტილება ცალკე 31 ოქტომბრის დადგენილება, რა უშლის ხელს მისი მოლშევიკური განხორციელებას. ამ მიზნით ახლავე 31 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მასიური თვითშემოწმება, რომელიც ამჟამად ტარდება მთელს ამიერ-კავკასიაში.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, თუ არ მივიღებთ ზხედველობაში ზოგიერთ რაიონებს (ახალსიხტანი, თელავი, გორი, სტალინისი), მასიური თვითშემოწმება ჯერ კიდევ სათანადოთ არ არის გაშლილი. დუშეთის, ხალენჯიხის, ტყიბულის და სხვ. რაიონებში ჯერ კიდევ არ განხოუცვიათ თვითშემმოწმებელი ბრიგადები და არ მიუღიათ ზომები თვითშემოწმების არგვლივ, მუშების კოლმეურნეების და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების დარაზმვისათვის.

ამჟამად ჩვენი ამოცანაა მასიური თვითშემოწმების ფართოდ გაშლა. თვითეულ ფაბრიკა-ქარხანაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში და თვითეულ სოფელში მასიურმა თვითშემოწმებამ მხურვალე გამოხმაურება უნდა ჰპოვოს. დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს თვითშემმოწმებელი ბრიგადები, სადაც ღიად არაა ისინი ჩამოყალიბებული ამ ბრიგადებში ჩაბმულ იქნას მუშრომელთა ფართე მასები და ბრიგადებს დაწერილებით უნდა განემარტოს თვითშემოწმების მიზანი და ამოცანები.

კონკრეტულ - ოპერატიულად ხელმძღვანელობა სწყვეტს მასიური თვითშემოწმების ბოლშევიკურად ჩატარების საქმეს. ხაკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. კომიტეტის, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კ.პ. (ბ) ა.-კავკასიის საბჭოთა კომიტეტი ავალებს ყველა ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, რომ მათ „უზრუნველყონ თვითშემოწმებების ბრიგადების ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცება.

ძირეული პარტრგოლის კონფერენცია ბათომში

(ხაკ. კორეხ.)

5 ივნისს ბათომში გაიხსნა ძირეული პარტრგოლის პირველი საქალაქო კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ სოხუმის, ქუთაისის და თბილისის ძირეული პარტრგოლის წარმომადგენლები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს, „კომუნისტი“-ს, „საბჭოთა აბარისტანი“-ს და „ბატუმსკი რაბოჩი“-ს რედაქციების წარმომადგენლებმა.

კონფერენცია გახსნა ხაკ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შორეულაძემ, რომლის სიტყვის შემდეგ მოხსენება იქნა ამხ. კ. გვალიას მოხსენება აჭარისტანში პარტიულ-მასიური მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გამოსულმა ათხაზეთის დელეგატმა ამხ. კაუტუბამ, თავის სიტყვაში სთქვა, რომ „აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ ჩაატარა მნიშვნელოვანი მუშაობა ხაკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 21 მარტის დადგენილების რეალიზაციისათვის. აზეკმად ორგანიზაციაში ითვლება 250 პარტუჯგუფი, გაწილადა ბრძოლა კომუნისტების ავანგარდული როლის გასაძლიერებლად და ამ მხრივ მოწვანავეთა რიგებში სდგას ტყუპარჩელის პარტორგანიზაცია.

მიღწევებთან ერთად არის ნაკლოვანებანი, ლიტერატურის ნაკლებობა და რიგ მთავარია პრაპაგანდისტთა კადრების სუსტი. კომკავშირის ჯერ კიდევ ვერ გადაღწა „თვითეული აქტიველის პროპაგანდისტად გადაქცევის“ ამოცანა. სუსტად არის დაყენებული აქტივის სწავლების საქმეც.

კომკავშირმა ჯერ კიდევ ვერ აყვანა საბჭოთა სიმაღლეზე მესამე თაობას—პიონერ ორგანიზაციისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმე. მას ამ მხრივ მრავალი ჩამორჩენა აქვს.

არ არის მთლიანად გატარებული ავერაგე ხელმძღვანელ ორგანიების გადაწყვეტილება კომკავშირის საოლქოსთან-ახალგაზდულო სამხედრო სწავლების შემოღების და ფიზკულტურული მუშაობის შესახებ. ჯერ ას დეფიცტების სასწრაფოდ გამოწორებისათვის მიღებულ უნდა იქნას გატარებული ღონისძიებები. თვითეული კომკავშირელი უახლოეს ხანში უნდა შეიქნეს საკითხის მცოდნე, დაეუფლოს სამხედრო საქმეს, იყოს „მზად შრომისა და თავდაცვისათვის“.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა ორმა პოლიტ-კურსმა კამპანიამ—საკავშირო ბილეთის შეცვლამ და გადარჩევებმა ნათელყვეს თბილისის ორგანიზაციის მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, ამ კამპანიებთანბრძოლებმა მათი გამოცდილების ურთიერთ გასაზიარებლად. სოფლად გაიგზავნა სამი ბრიგადა კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ამხ. ცარიუკი (თბილისი) შეეხო პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის მდგომარეობას ამხ. ხტალინის სახ. ორთქლმავალვაგონების შემკეთებელ ქარხანაში.

აღნიშნული ქარხნის პარტორგანიზაციამ დროულად დაამუშავა ხაკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილება პარტ-მასიური მუშაობის გარდაქმნის შესახებ და მიაღწია მან საგრძნობ შედეგებს ამ დარგში ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. მიმდინარეობს შეუწყნელებელი მუშაობა ბელადინების 6 მითითების რეალიზაციისათვის.

სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია 33 ბრიგადა და სხვ.

შემდეგ ილაპარაკეს ბათომის ფაბრიკა-ქარხნების (ნავთსადგური, ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები, დეპო, „ხაკ. ნავთი“ დ. სხვა) პარტორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ პარტმასიური მუშაობის გარდაქმნაში მიღწევებთან ერთად, არის ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრისათვის მიღებულ უნდა იქნას გადამჭრელი ზომები.

ბათომის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნების დელეგატმა განაცხადა, რომ ნავთის პროდუქტების ექსპორტის გეგმის შესახრულებლად საჭიროა შეიდრო კავშირის დამყარება, დეპოს და „ხაკ. ნავთი“-ს პარტორგანიზაციების შორის.

კონფერენციაზე აღინიშნა აგრეთვე სოფლად პარტ-მუშაობის ჩამორჩენა.

დელეგატებმა ბაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ საჭიროა დაუღალავი მუშაობა პარტიული და უპარტიო მასების შესაბარდებლად მარქსლენინის თეორიით, ვინაიდან ამ საოქში საკრძნობი ჩამორჩენაა.

კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები პარტიულ-მასიური მუშაობის შედგომი გაშლისათვის.

ე. ხ.

გამოიყო თვითშემმოწმებელი ბრიგადები

(ტელეგრაფით გორიდან)

გორის რაიონის პარტორგანიზაცია ფართოდ გამოეხმაურა საქის ილიჩის სახ. ბეტტის მუშების და ინჟენერ-ტეხნიკოსების მოწოდებას ხაკ. კ.პ.(ბ) ცეკას 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მასიური თვითშემოწმების შესახებ.

ამ მიზნით პარტკაბინეტის მიერ ცალკე სოფლებზე და კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მუშა-კომკავშირის სამეურნეო ფრონტზე მებრძოლ პარტ-მასიური მუშაობის გაძლიერების საკითხებზე.

ამ საკითხების განსახილველად ბრიგადებმა მოიწვიეს ხალხური სასახლეში ფართო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ბუკია-ძემ.

მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ ბრიგადების წევრები, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს ბიუროკრატიზმს, ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს, ბრალი დასდეს ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომ ისინი ცალკეულ ფაბრიკა-ქარხნებს ყურადღებას არ აქცევენ, ხოლო ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნებში საერთოდ არ ტარდება მუშაობა.

ბრიგადების წევრებმა ბრალი დასდეს ფაბრიკა-ქარხნების ადმინისტრაციებს, რომ ისინი ხელს არ უწყობენ ბრიგადების მუშაობას, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელები ბრიგადების მუშაობას ხელს უშლიან

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლას კოოპერაციამ და საზოგადოებამ უპასუხოს საბჭოთა გაზრებზე ახალი სავაჭროების გახსნით

„არ უნდა იქნას დაშვებული მაღაზიების და დუქნების გახსნა კერძო ვაჭრების მიერ დიდ ქალაქებში ისეთ ადგილებში, სადაც არსებობს საბჭოთა და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელი, რომელიც ამ ადგილებში მოსახლეობის მოთხოვნილებას სრულად აკმაყოფილებს“.

(სსრკ-ის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 8 მაისის დადგენილებიდან).

რკინის გზებმა პირი უნდა იბრუნონ საკოლმეურნეო ვაჭრობისაკენ

საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის ყოველ ხერხის ხელისშეწყობის შესახებ, გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანების მიღების შემდეგ, რომელსაც ხელს აწერს ამხ. მდივანი, ა-კავკასიის რკინის გზის დირექც იამ 1 ივნისს მისცა მითითება ყველა სადგურებს, რომ კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მწარმოებელ გლეხებს უფლება აქვთ უფასოდ გადაიტანონ ხელით 56 კილო ბარგი. სამი დღით ადრე დაიგზავნება დეპეშა, რომ უქმდება ყველა წესები გადაზიდვის ეკონომიური მოწესრიგების შესახებ. კოლმეურნის ყველა ტვირთის გადატანა დაუბრკოლებლად უნდა წარმოებდეს.

1 ივნისს დირექც იამ წინადადება მისცა დისტანციებს მოაწყონ სახაზრო ტიპის ხუთი დახურული ფარდული სპეციალურად კოლმეურნეთა ვაჭრობისათვის. ასეთი ფარდულები დაუყოვნებლივ უნდა დაიდგას გორის, ჭარელის, ხაფანურეს, ყარაიაზის, და სანდარის სადგურებთან. უახლოეს დროში მათი რიცხვი გადიდებული იქნება 25-მდე.

ამასთან ერთად, დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი საკოლმეურნეო ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის. თვითეულ საგარეუბნო მატარებელში უნდა გამოიყოს ერთი-ორი ვაგონი კოლმეურნეებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან თავიანთი სახელო - სამეურნეო პროდუქტებით.

ყველა საგარეუბნო მატარებლებზე, გამტარუნარიანობის გადიდების მიზნით, უნდა იქნან მიბმული თითო საბარგო მატარებელი. ამ ვაგონის გამოყოფა ხდება უმთავრესად კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ გლეხთა პროდუქციისათვის (ადს).

ზუგდიდის კოლმეურნეები უკრაინია ბაზარზე

ზუგდიდი. პარტრაიკომის ამხ. ჭყვანიას რაიაღმასკომს და რაიკოლმე- ურნეობებს

კიევი. დღეს კიევის საკოლმეურნეო ბაზრის პირველი დღე ზუგდიდის კოლმეურნეობათა რაიონმა. ხელშეკრულების თანახმად კიევის გარნიზონის სამხედრო კოოპერაციას დღეს ჩაბარება 198.295 მანეთის პროდუქცია და დასდო ხელშეკრუ ლება 100 ათასი მანეთის პროდუქციის ჩაბარებაზე.

ზუგდიდის კოლმეურნეობათა კავშირმა, კიევის საკოლმეურნეო ბაზარზე დაიჭირა ერთ-ერთი პირვე ლი ადგილთაგანი. კიევის გარნიზონის სამხედრო კოოპერაციის გამგეო ბა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკოლმეურნეო ჭარბი პრო დუქციით წარმოების მომარაგების საქმეს, ესალმება საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეში ზუგდიდის კოლმეურნეობათა მიღწევებს, რაც მიღებულ იქნა პარტორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეო ბები შეასრულებენ დავალებას საკ ოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი განვითარების საქმეში, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ხილეულის, ბოსტნეულის და სამხედრო კოოპერაც იის ხელს შეუწყობენ წითელი არმიის მომარაგების გაუმჯობესებაში.

კიევის გარნიზონის სამხ. კოო პერაციის გამგეობა

187 ათასი მან. პროდუქცია ლენინის ქალაქის მუშებს

ზუგდიდი. პარტრაიკომის მდი ვანს ამხ. ჭყვანიას. კოლმეურნეობათა რაიაპარატს

კიევი. კიევის საკოლმეურნეო ბაზარზე, ზუგდიდის კოლმეურნეობათ რაიკაპირის წარმომადგენლობამ „ლენინგრადის“ ჩაბარა 52 ათასი მანეთის საკოლმეურნეო პროდუქცია და დასდვა ხელშეკრულება დამატებით, 135 ათასი მანეთის პროდუქციის მიწოდებაზე. ამ პროდუქტებს, ლენინგრადის მუშათა მომარაგების ათვის მიიღებს კიევის პროდუქტებით ვაჭრობის ლენინგრადის სახელმწიფო ვაჭრობის კიევის ტრესტის ორგანიზაციები.

მოგესალმებით საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეში პირველი მოწვევების მოპოვებასთან დაკავშირებით და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებიც მოწინავე ადგილზე გამოვიდნენ კიევის საკოლმეურნეო ბაზარზე, თქვენი ხელშეკრულებით მოსული პროდუქტის დროულად მიწოდებით შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას და ზედმეტ სასაქონლო ფონდებს მიაწოდებენ მუშებს.

კიევის პროდუქტებით მოვაჭრე რაიონის საბჭოთა მეურნეობის გაერთიანების დირექტორი უსტინოვი.

გეგმები—ქალაქზე

გათოვი

1-ლ ივნისს შესდგა აქარ. კოლმეურნეტრის სხდომა, რომელმაც გამოიმუშავა აქარისტანში საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის ფართო გეგმა; გეგმაში აღნიშნულია, თუ სად გაიხსნება სავაჭრო პუნქტები, როგორი იქნება ვაჭრობის ორგანიზაცია, რა პროდუქტების გამოტანა შეიძლება კოლმეურნეობებს ბაზარზე და სხვ.

ნათესი ფართობისა და მოსავლის აღრიცხვისათვის

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ნათესი ფართობებისა და მოსავლის აღნუსხვის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახ. კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 3-ის თარიღისა და 629 №-ის დადგენილების ა-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლ. ივნისის 8-ის თარიღისა და 482 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 31 №-ი, მუხ. 192 და „ზარია ვოსტოკა“ № 124 1932 წლისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს ზუსტი და ამომწურავი ცნობები მარცვლეული, ტექნიკური, საკვები, ბაღ-ბოსტნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების, მოსავლის და საერთო პროდუქციის შესახებ მოეწყოს საუწყებათაშორისო სააღნუსხვო - საკონტროლო კომისიები: რესპუბლიკური—საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოსთან და სარაიონო-აღმასრულებელ კომიტეტებთან.

დაეკვალოს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს —მოაწყონ ხათანადო საუწყებათაშორისო სააღნუსხვო - საკონტროლო კომისიები ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან.

2. რესპუბლიკური საუწყებათაშორისო სააღნუსხვო-საკონტროლო კომისია შედგება საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით და მის შედგენილობაში შედიან ამ სამმართველოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექტორის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, სახოფ.-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოსი (საქართველოს სსრ-ში), მიწადმოქმედების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა, საქართველოს სახოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალური კავშირისა (სახ. კოლმეურნეცენტრი), „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორისა, „ზაგოტხლოპკოს“ საქართველოს კონტორისა და საქართველოს სამრეწველო-საბჭოთა მეურნეობების მუშათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლები.

რეს უბლიკური საალღუსხვო - საკონტროლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტების და სხვ. წარმომადგენლები.

სათანადო შედგენილობით მოეწყობიან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებთან არსებული საუწყებათაშორისო საალღუსხვო-საკონტროლო კომისიები.

სარაიონო საალღუსხვო - საკონტროლო კომისია მოეწყობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით; ამ კომისიის შედგენილობაში შედიან საქართველოს კომპარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტისა, სარაიონო საგეგმო, საალღუსხვო, სადგილმამოულო და სადამშვიდებლო ორგანებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოსი, ორგანოსი, კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირისა (სარაიონო საკოლმეურნეო კავშირი) და სამოწყდომელო საბჭოთა მეურნეობების მუშათა პროფესიონალური კავშირის სათანადო ორგანიზაციის წარმომადგენელნი.

3. საალღუსხვო-საკონტროლო კომისიები, მომჭედი ოპერატიული ანგარიშგების საფუძველზე, შეამოწმებენ და დაადასტურებენ შედეგებს ცნობების, შეადგენენ ამ ცნობების საფუძველზე, თუ როგორი ბრი ან რა ვალდებულებას იძლევა: მოსავლის და ამრიგად ეს ცნობები მარცვლეული, ტექნიკური, საკვები და სხვ კულტურების საერთო პროდუქციის ცნობებს.

აღნიშნული კომისიები მოჭედნენ მათ შესახებ გამოცემული დებულების თანახმად, რომელსაც დაამტკიცებს სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველო სსრ კავშირის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. ოპერატიული ანგარიშგების ცნობების დამახინჯებისათვის ხალღუსხვო-საკონტროლო კომისიას უფლება აქვს მისცეს პასუხისგებაში სისხლის სარართლის წესით დამნაშავე თანამდებობის პირი.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს თესვის შედეგები დოკუმენტალური ცნობებით, რისთვისაც უნდა მიეღოს შემოწმებული სანაღარიშო ცნობები თვითეული საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობისა და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მეურნეობისათვის; ამავე მიზნით სასოფლო საბჭოებს, სადაც შედგენილ იქნენ ინდივიდუალური სანაღარიშო მეურნეობათა ნაკრებნი, ხელი შეეწყოს ამ ნაკრებნის სწორად შედგენაში.

წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს შეადგინონ მეურნეობითი სიები კოლმეურნეთა მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილისა და ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა ნათესებისათვის, საქართველოს სსრ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით და გამოაქოს ამ მიზნით სპეციალური პირები.

აღნიშნული მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნეს სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული 10 დღის განმავლობაში თესვის დამთავრების შემდეგ, თანაც თესვის შედეგები დადასტურებულ უნდა იქნეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სახალხო სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებში.

6. დაეკვალოს ყველა სახალხო და კოლექტიურ მეურნეობას და აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობას აწარმოონ ნათესების აღრიცხვა მოსავლის აღების კამპანიის დასაწყისამდე (მოთხოვნილი ფართობის აღნუსხვა, მიღებული პროდუქციის აღნუსხვა მოსავლის აღების პერიოდში და ბოლოს კოლმეურნეობის შემდეგ მარცვლეულის გამოსავლის აღნუსხვა, მესაგროვებელ პუნქტებში, საწყობებში და სხვ. ჩატარებული მარცვლეულის აღნუსხვა, გადამუშავების ყველა სტადიისათვის აღნუსხვის ჯამის დაყენება—ტექნიკური კულტურების ბაზით და სხვ.).

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოაწყოს, სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს და ა-კავკასიონ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ინსტრუქციების საფუძველზე, საალღუსხვო-საკონტროლო კომისიების წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობით, მოსავლის რაოდენობის გამორკვევა გალეწილი ბურის ამორჩევით შემოწმების საშუალებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: — ა. ალიხანიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: — რ. ოთხმეზია

1932 წ. ივნისის 11.
ტფილისი.

მაგრად დავარტყათ ხელისშემშლელთ

(საკ. კორეს. ტელეგრაფით აღებულად - მანგლისიდან)

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეს აღებულად-მანგლისის რაიონი ფართედ გამოეხმაურა.

სხკ. კ.პ.(ბ) რაიონულ კომიტეტის მიერ ამ საკითხებზე ჩატარებული იქნა მთელი რიგი მასიური მუშაობები. ადგილობრივ რაიონულ გაზეთ „კოლექტივისაკე“-ნის რედაქციამ, „ტიფლისკი რაბოჩის“ რედაქციასთან ერთად გამოუშვა სპეციალური ბიულეტენის სამი ნომერი, სადაც შეუქდება საკოლმეურნეო ვაჭრობის საკითხები და მისი მსვლელობა რაიონში. რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე გახსნეს სავაჭროები აღბულაღში, მანგლისში და თბილისში.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკების იმპორტუნისტული შეუფასებლობა, რომელსაც ისინი იჩენენ საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეში.

ა. ი.

საკოლმეურნეო დუქნები არ მოუწყვიათ

თელავი, 13 ივნისი. (სპეც. კორ.) თელავის რაიონში შემავალ ყველა სოფლებში და კოლმეურნეობებში ფართედ დამუშავდა სახ. კ. პ. (ბ) ცკას და სახ. სახკომსაბჭოს დადგენილებები — საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ.

ამის შედეგად, უკვე მიღწეულია თელავის ბაზარზე სას. სამ. პროდუქტების დიდი რაოდენობის გამოტანა და შესამჩნევი ხდება ამ პროდუქტებზე ფასების დაკლება.

რაიკოლმეურნეთკავშირის დადგენილებით და ადგილობრივ კოლმეურნეობებთან შეთანხმებით, ქალაქად უნდა გაიხსნას სამი და სოფლად 2 საკოლმეურნეო მაღაზია. 12 ივნისისათვის არც ქალაქად და არც სოფლად მაღაზიები არ იყო გახსნილი ქალაქად, მაღაზიებისათვის გამოყოფილია დარაბები, მაგრამ ეს დარაბები დღესაც შეუღებავია;

კოლმეურნეობები და კოლმეურნეები სავაჭროდ გამოდიან ბაზრებზე, მაგრამ მათთვის არ არის გამოყოფილი სპეციალური ადგილები, კოოპერაცია ბაზარზე არ სჩანს.

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე.

მეკურდღლეობა

კომკავშირმა უნდა აიღოს შეფობა

მეკურდღლეობის მეურნეობათა მშენებლობის საქმეზე

მეკურდღლეობის მეურნეობათა ორგანიზაცია დაიწყო

(ფერილი სიღნაღიდან)

სიღნაღის რაიონში კურდღლის მეურნეობის განვითარებისათვის არსებობს ყველა საჭირო პირობები ამ შესაძლებლობათა მაქსიმალურად და დროულად გამოყენებისათვის რაიაღმასკომის და რაიკომის მიერ გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები.

გეგმის მიხედვით მომდინარე წელს შეძენილი იქნება 750 სული ჯიშიანი კურდღელი. რაიონის კოოპკავშირი, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ კურდღლის მოშენებისათვის მზადებას. წელს კოლმეურნეობების მიერ შეძენილი იქნება 200 ჯიშიანი კურდღელი, საბჭოთა მეურნეობების მიერ— 300, რაიაღმასკომის კომბინატის მიერ 100, რაიკოოპკავშირის და გამსახლის მიერ 150.

რაიმიწგანი შეუდგა შემოსაყვან საშენი კურდღლის სიღნაღის რაიონის კლიმატურ პირობებთან შეფარდებით ვარგისი ჯიშის და მოსაშენებელი ადგილმდებარეობის შერჩევას.

კურდღლის მეურნეობის მოსაწყობად საჭირო თანხები გაიღეს ზემოდ ჩამოთვლილ ორგანიზაციებმა. ადგილმეურნეობის განყოფილებას დაევალა ერთ დეკადის ვადაში შეადგინოს კურდღლის მეურნეობისათვის საჭირო ნაგებობათა ხარჯთაღრიცხვა და დაიწყოს მშენებლობა.

რაც შეეხება მიმდინარე წელს კურდღლის საკვებ ბაზას, ეს შექმნილი იქნება საბჭოთა მეურნეობების, კოლ მეურნეობების და კოოპერაციის სახეალებებიდან.

ამ რიგად ყველა აუცილებელი პირობები მზად არის მეკურდღლეობის მეურნეობის მოწყობისათვის სიღნაღის რაიონში. საჭიროა ამ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება. პირველ რიგში საჭიროა კურდღლის საქმის კვალიფიციური მუშაკები, რაც რაიონს არ მოეპოება.

ი. ბ—ა.

სარემონტო ქარხნის კომკავშირმა აიღო შეფობა მეკურდღლეობის მეურნეობაზე

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის ქარხკომის პლენუმმა განიხილა მეკურდღლეობის განვითარების საკითხი, გამოირკვა, რომ ქარხანას შესაძლებლობა აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საქმის პრაქტიკულად მოგვარებას.

პლენუმმა საჭიროდ სცნო, რომ ნათბალის მეურნეობაში დაჩარებით გამოიყოს მეკურდღლეობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი, შეიღობოს იგი და გამოიყოს სპეციალური კაცი, რომელიც სათავეში ჩაუდგება მეკურდღლეობის მეურნეობას.

ქარხნის კოოპერატივის გამგეობას დაევალა დაჩარებით შეიძინოს ჯიშიანი საშენო კურდღლები მეკურდღლეობის შერებისათვის. ამ საქმის მოსაგვარებლად გამოყოფილი იქნა კომისია სამი კაცის შემადგენლობით.

ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ შეუთა აიღო ქარხნის მეკურდღლეობის მეურნეობაზე, გამოიყო სპეციალური ბრიგადა, რომელსაც დაეფალა შეისწავლოს კურდღლების მოშენების საკითხი და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მეკურდღლეობის განვითარებაში.

ქარხკომის პლენუმის დასკვნით სიგარეუბნო მეურნეობის გარდა, სტალინის სახელობის შემკეთებელმა ქარხანამ კურდღელი უნდა მოაშენოს თვით ქარხნის ეზოში, სადაც საამისო მიწის საკმაო ფართობი მოიპოვება.

ამ რიგად სტალინელები პრაქტიკულად შეუდგნენ მეკურდღლეობის მოგვარებას, რაც ხელს შეუწყობს მუშათა კეების გაუმჯობესებას და სოციალისტური მშენებლობის ტემპების გაძლიერებას.

„კომუნისტის“ დამკვრელი მუშკორები: ი. ნაზარბეგოვი, ლ. ქოჩაძე, ნ. გლიქვაძე, ი. ჯღარკავა.

მეკურდღლეობის კურსები

ა. წ. 10 ივნისს საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატი ქ. თბილისში ხსნის მეკურდღლეობის ორთვიან კურსებს საკურდღლეების ბრიგადირების და გამგეების მოსამზადებლად. კურსების მოწყობის მიზანია — მოამზადოს მუშაკები საკურდღლეებისათვის, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა ადგილებში აწყობენ სამეურნეო კურსების პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა უკვე დამტკიცებულია. ლექტორებათ მოწვეულნი არიან პროფესორები და მეკურდღლეობის საქმის პრაქტიკოსები, უმთავრესად ისინი, რომლებმაც გასულ წელს ჩატარეს გაკურაზეში ა-კ. სახელმწიფო ვაჭრობის მიერ მოწყობილი ასეთივე კურსები.

მეცადინეობა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე. კურსები ვაკანსიას უქმნიან 70 მსმენელისათვის. მსმენელებს უნდა ჰქონდეთ საერთო განათლების ცენზი არა ნაკლებ შვიდწლედის კურსისა, ამასთან მსმენელთა გაგზავნა კურსებზე შეთანხმებულ უნდა იქნეს პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან.

მსმენელთა გაგზავნა კურსებზე დავალებული აქვს სამეურნეო ვაერთიანებებს, რომლებიც გასწევენ კურსების მოწყობასთან დაკავშირებულ სარჯებს.

თვითეულ კურსანტზე მთელი კურსის განმავლობის დღეებისათვის ლეკციებზე, ბინის და სხვა ხარჯების ჩათვლით, გამოანგარიშებულია 535 მანეთი.

20.500 კურდღელი ამიერ-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის მიწსხკომმა გადასწყვიტა, უახლოეს ხანებში შემოიყვანოს ამიერკავკასიაში 20.500 კურდღელი; აქედან აზერბაიჯანში 7000 დედალი კურდღელი, სომხეთში — 4.500 და საქართველოში— 7.809.

ა-კავკასიის მიწსხკომმა წინადადება მისცა იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჩატანილი აქვთ კურკები საჭირო რაოდენობის კურდღლებზე, რომ ამთავითვე მოამზადონ მათი შესყიდვა და დასდონ შესაფერი ხელშეკრულებანი; ამასთან ერთად უზრუნველჰყონ კურდღლების ზღვით შეშოყვანა და ავრეთვე შესრობებისა და საკვების მომზადება.

ა-კავკასიის მიწსხკომმა დაავალა მეკურდღლეობის ძირითად სისტემებს იყოლიონ თავიანთ აპარატებში ინსტრუქტორ-მეკურდღლეები, რომლებსაც დაეკისრებათ მოსამზადებელი სამუშაოების ხელმძღვანელობა მეკურდღლეობის დარგში (ადს).



„სპაიროხეტოზით“ დაავადებული კურდღელი

გამოშვებულთა საზოგადოების ცენტრალური კომისიის პლენუმზე

მოსკოვი, 13 ივნისი. გამომგონებელთა საზოგადოების ცენტრალური კომისიის პლენუმზე გამოვიდა საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. განგია, რომელიც დაწვრილებით შეეხო საქართველოში სოგამომგონებლო საქმის განვითარების შედეგებზე. ამხ. განგიამ აღნიშნა სამი დიდი გამოგონება: ლურმანის ახალი საბეჭოთა დაზგა, მასალის დაგების საშუალება, ქაღალდის დამზადება წალმისაგან, რაც ყოველწლიურად იძლევა 5 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას.

ამხ. განგიამ პლენუმს აცნობა აგრეთვე საქართველოში მუშათა გამომგონებლობის ბიუროების ლიკვიდაციის აღმაშფოთებელი ფაქტები. საქართველოს მეტრავტრესტის დირექტორმა განკარგულება გასცა გამომგონებლობის ბიუროს გაუქმების შესახებ. ამასთან უქმდება მუშათა გამომგონებლობის ბიუროები საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემაში. პლენუმმა დაუშვებლად ჩასთვალა მუშათა გამომგონებლობის ბიუროების ლიკვიდაცია და აღნიშნა, რომ ეს წარმოადგენს მუშათა გამომგონებლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილების უხეშ დამახინჯებას (ადს).

სამტრედიის პოლვეურნეთა საჩუქარი სტალინის ავტომქარხანას

სამტრედია, 12 ივ. სამტრედიის რაიონის კოლმეურნეებმა დღეს ვაგონზე ადრე დაბეთავეს თესვა. სტალინის ავტოქარხნის მუშებთან პროლეტარული კავშირის განმტკიცების მიზნით, სამტრედიის კოლმეურნეებმა გაუგზავნეს მათ საკუთარი წარმოების ხუთი ვაგონი ხილი. სა.კ კ.პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანმა ამხ. ადამიძემ მოსკოვში სა.კ. კ.პ. (ბ) სოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. კაგანოვიჩისა, აგრეთვე ცენტრალის სახ. ავტოქარხნის სახელზე გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„საქართველოს სამტრედიის რაიონის კოლმეურნეები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს თესვა დაწესებულ ვადაზე ადრე, სიხუჭრად უგზავნიან სტალინის ავტოქარხნის მუშებს ხუთ ვაგონ ბოსტნეულს და ხილს. ამყარებენ რა ამით პროლეტარულ კავშირს ქარხნის მუშებთან სამტრედიის კოლმეურნეები სა. კ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და პარტიის ბელადს ამხ. სტალინს ხელმძღვანელობით მიაღწევენ შემდგომ გამარჯვებებს სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში“ (ადს).

1.500.000 მანეთის საქ. საგზაო მოვლაგლობითის

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ ურალსო გზების მშენებლობა ჩამორჩება საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო ტემპებს. ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ აღარა შეამდგომლობა საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა საქართველოს საგზაო მშენებლობისათვის დამატებით გაღებულ იქნას 1.420.000 მანეთი (ადს).

ნაოთხი ფარდული ბოსტნეულის გასაყიდად

ბათომი, 13 ივნისი. (სპეც. კორ.) ბათომის რაიონში ბოსტნეულის ნაოთხი ფარდული გაიხსნა. ფარდულებში ბოსტნეულის ფასები ბაზრის ფასებზე 10—15 პროცენტით დაბალია.

ზრუნველვყოთ ხე-ტყის დამზადება მუშა ხელით და საჭაპანო ტრანსპორტით

აღმოვფხვრათ გარღვევები ხე-ტყის დამზადებაში

ხე-ტყის დამზადების საქმეს ადგილობრივი საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას. ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციებიც ვერ იჩენენ ამ მხრივ სათანადო დაინტერესებას. ესაა მიზეზი, რომ ხე-ტყის დამამზადებელი რაიონები დღემდე არ არიან მომარაგებული საკმაო რაოდენობის მუშა-ხელით და ტრანსპორტით. უამისოდ კი, ხე-ტყის დამზადების გეგმების შესრულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აი, როგორი შედეგებია მიღწეული ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულებაში 1-ლი ივნისისათვის.

განვლილი 5 თვის განმავლობაში საქართველოს ხე-ტყის დამამზად. რაიონებში სულ დამზადებული უნდა ყოფილიყო 486.240 კუბმეტრი ხე-ტყე. ეს დავალება 1-ლი ივნისისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 63,5 პროცენტით, მაღაროთა გასამაგრებელი ბოჯგების დამზადების გეგმა შესრულებულია 84,5 პროცენტით, ქვირფასი ჯიშების დამზადების გეგმა—69,3 პროცენტით, საექსპორტო ტყის დამზადების გეგმა 297,6 პროცენტით, შეშის დამზადების გეგმა—62,5 პროცენტით, სახრახნი ხე-ტყის — 64,1 პროცენტით და სხვ.

ამ ხნის განმავლობაში ტყეებიდან გამოზიდული უნდა ყოფილიყო 313.865 კ. მეტრი ხე-ტყე, ნამდვილად კი დავალება შესრულებულია 31,4 პროცენტით. აქედან მაღაროების გასამაგრებელი ბოჯგების გამოზიდვის გეგმა შესრულებულია 92 პროცენტით, ძვირფასი ჯიშების—47 პროცენტით, შეშის—31,9 პროცენტით, სახრახნი ხე-ტყის —28,9 პროცენტით და სხვ.

ტყეებიდან გამოტანილი ხე-ტყე მოზიდული უნდა ყოფილიყო ჩამოსაცურებელ პუნქტებამდე 203.980 კუბ. მეტრის რაოდენობით. ნამდვილად კი მოზიდულია ამ რაოდენობის 38,1 პროცენტი.

გეგმის ე.წ.ნახმად, მდინარეებში დასაცურებლად ჩაყრილი უნდა ყოფილიყო 176.283 კუბ. მეტრი ხე-ტყე. ფაქტიურად დაცურება შესრულებულია 36,4 პროცენტით.

მდინარეებიდან უნდა ყოფილიყო ამოღებული (ჩოსპრებელ პუნქტებთან) 136.159 კუბმეტრი ხე-ტყე. გეგმა შესრულდა 38 პროცენტით. 2-.

ამგვარად, ნათელია, რომ ხე-ტყის დამზადებაში ადგილი აქვს დიდ გარღვევებს. ხე-ტყის დამზადების არც ერთი დარგის მუშაობა არ იძლევა რამოდენიმეთ მაინც დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს.

არაა მუშა-ხელი, არ არის ტრანსპორტი

ამჟამინდარე წლის 1-ლ კვარტალში სვანეთის, ფოთის, აჭარისტანის, ზუგდიდის და ამბროლაურის ხე-ტყის დამამზადებელ რაიონებში ხე-ტყის დამზადების საქმეში ჩამოსული უნდა ყოფილიყო 1531 მუშა, ჩამოსულია საქმეში—2112 და გამოზიდვის საქმეში — 2389 ურემი. სულ გეგმით გათვალისწინებული იყო 6032 მუშა-ხელის ყოლა.

ნამდვილათ კი მუშა-ხელის მომარაგების ეს გეგმა 1-ლ კვარტალში შესრულდა 27 პროცენტით, ე. ი. დამზადებაზე მუშაობდა 827 კაცი, ჩამოცურებაზე 256 კაცი და გამოტანაზე 489 ურემი. სულ 6032 კაცის მაგიერ, მუშაობდა 1632 კაცი.

დამაკმაყოფილებელ სურათს არც აპრილ-მაისის მუშაობა იძლევა: მაისის მეორე დეკადისათვის უნდა ყოფილიყო 1.194 ხის მჭრელი, 805 ჩამომცურებელი. 2495 გამომზიდველი, ხოლო იყო 491 ხის მჭრელი, 501 ჩამომცურებელი და 546 გამომზიდველი. სულ 7586 კაცის მაგიერ მუშაობდა 1538 კაცი, რაც გეგმის 31 პროცენტს უდრის.

სატყეო მრეწველობის ორგანიზაციებს ყავთ საკუთარი ტრანსპორტი, მაგრამ ეს ტრანსპორტი ისე სუსტია, რომ იმით შეუძლებელია მთელი მოთხოვნილების დაფარვა. საკუთარი ტრანსპორტით იკმაყოფილებენ მოთხოვნილების მხოლოდ 15 პროცენტს.

განსაკუთრებით დიდი ხელისშემშლელი ფონის ხე-ტყის დამამზადებელ რაიონს. ეს რაიონი ამ ყველაზე ნაკლებადაა მომარაგებული, როგორც მუშა-ხელით, ისე ტრანსპორტით.

მეორე კვარტალში ხე-ტყის დამზადების საქმე დაბრკოლებული იყო იმითაც, რომ ხელისუფლების ზოგიერთი ორგანოები ადგილებზე ხელს არ უწყობდნენ მუშა-ხელის შეგროვებას ხე-ტყის დამამზადებელი რაიონებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხეთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მარტვილის, ლანჩხუთის, გალის და სხვა რაიაღმასკომების მოქმედება. მათი განკარგულებით, ხე-ტყის დამზადებაზე სამუშაოთ სოფლებიდან მუშა-ხელი გამოყვანილი უნდა იქნეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დამამყოფილებული იქნება ყველა მოთხოვნილებანი. ეგები არაა, საკითხის ასე დაყენება ნიშნავს ხე-ტყის დამამზადებელი რაონების უმუშაბლოთ დატოვებას და ფაქტიურად ეს ასეცაა.

23 მარტს სჭ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ფასიანი შრომის საჭაპანო ბეგარის გამოყენების შესახებ ხე-ტყის გამოზიდვის საქმეში. სახკომსაბჭოს ეს დადგენილება დღემდე არაა განხორციელებული გალის, ხეთის, წალენჯიხის, მარტვილის, ლანჩხუთის, გალის და სხვა რაიონებში.

მთელ რიგ რაიონებში (გარდა რაჭა-ლეჩხუმისა) ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა აქრძალეს ხე-ტყის დამზადებაზე. სამუშაოდ მუშა-ხელის შეკრება მარტვილის, ბანძის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, ხეთის, ოზურგეთის, ქობულეთ

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ესკადრილიისათვის

აბასთუმნის ხატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს ესკადრილიის ფონდში შემოგვაქვს ერთი დღის ხელფასი ორას რვა მანეთი და 28 კაპ. (208 მან. 28 კაპ.) და ამავე მიზნით ვიწვევთ: **აბასთუმნის კურორტის სამმართველოს, ადგილნის, ახალციხის, ბორჯომის, წაღვერის, ბაკურიანის, აწყურის, ახალდაბის, ბაზმარის, შაშვოვის და სამხრეთ-ოსეთის** საკურორტო სატყეო მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს.

აბასთუმნის სატყ. მეურნეობის ხე-ტყეზე მომუშავეთა კავშირის ადგილკომი.

—:—

ფიზკულტურის ხალ. სამეც. საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომლებს ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად შემოგვაქვს ერთი დღის ხელფასი **150 მანეთის** ოდენობით და ამავე მიზნით ვიწვევთ ჯ.ს.კ. **სოციალურ-ჰიგიენის ინსტიტუტს და ბავშვთა და ბოროტთა ჯანდაცვის ინსტიტუტის** თანამშრომლებს.

ინსტიტუტის დირექტორი,

—:—

ტფილისის რაიპროფსაბჭოს თავის წევრების სახელით ესკადრილიის ფონდში შეჰქონდეს 155 მანეთი.

დავალებით ბ. ზურაბიანი.

—:—

ზესტაფონის სახკავშირში გაერთიანებულ ქვემო ჩამოთვლილ წევრებს ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად შეჰქონდეთ: **რაინდა ბარათაშვილს** 10 მანეთი, **პ. კობახიძეს** — 5 მან., **ხ. გოცირიძეს** —10 მან., **გრ. სამხარაძეს** — 10 მან., **ალ. ბაკურაძეს** — 10 მან., **ვას. ღიბრაძეს**—10 მან. და **ტრ. გუბელაძეს**—10 მან. ეს პირები ამავე მიზნით იწვევენ კავშირის დანარჩენ წევრებს.

—:—

ოლო-ახედათის თემის (მარტყოფის რაიონი) გუნათლების მუშაკთა კავშირის წევრებს ესკადრილიის ფონდში შემოგვაქვთ 66 მანეთი და ამავე მიზნით იწვევენ რაიონში შემავალ დანარჩენ თემების განსწორებას კავშირის წევრებს.

ოლო-ახედათის განსწორებათა კავშირი.

—:—

თბილისის საბჭოს „სილიკატტრესტის“ ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებს შემოგვაქვს ერთი დღის ხელფასი **96—13 კაპ.** რაოდენობით ა.ჯ. წითელდროშოვან ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად და წვევენ ტ.ბილისის „სილიკატტრესტის“ ავტორის ქარხნებს, ქვის ნაწარმის ტრესტის ტრანსპორტს, „ახალშენის“ ტრანსპორტს და ალმასკომის ტრანსპორტს.

დავალებით: მირმესაშვილი.

—:—

თბილისის სახოფლო - სამეურნეო მანქანათმცოდნეობის № 1 ტექნიკუმის თანამშრომლებს შეჰქონდეთ ასოცდაცხრა მანეთი **(129 მან. და 85 კაპ.)** ა.ჯ. წითელდროშოვან არმიის ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად.

დავალებით გ. სადალაშვილი.

—:—

ფოცხოს თემის გან. კავშირის მუშაკებს შეჰქონდეთ ამ.-კავკასიის წითელდროშოვან არმიის ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად **128 მან. და 06 კაპ.**

ფოცხოს თემის ადგილკომის თავმჯდომარე ბ. თოდუა.

—:—

ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად **სტალინის რაიონის გან. მუშაკთა მე-43 ადგილკომს** შემოაქვს **10—34 კაპ.** ამავე მიზნით იწვევენ მე-21 შრ. სკოლაში არსებულ ადგილკომს და მე-16 შრ. სკოლას.

მე-43 ადგილკომი.

—:—

„სამრეწველო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს შემოაქვთ ესკადრილიის ფონდში ერთი დღის ნამუშევარი ოთხმოცი (80—02) მანეთი და 02 კაპ. რაოდენობით.

—:—

ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად **ვეთის მოსამსახურეთა ალკ უჯრედს** შემოაქვს ორმოცდა ხუთი მან. 50 კაპ. (45 მან. 50 კ.) და ამავე მიზნით იწვევენ ხოშის, მარტვილის და ნორიის ცენტ. ბიუროებს.

ალკ ხეთის მოსამ. უჯრედი.

—:—

ხაზკვების კავშირის ხამხედრო რაიონალგლკომს წითელდროშოვან არმიის ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად შემოაქვს სასადილო № 2-ის მუშა-მოსამსახურეთა მიერ შეგროვილი 71 მანეთი.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ესკადრილიის ფონდში გაზ. „კომუნისტის“ მთ. კანტორაში შემოვიდა სულ 79.806 მან. და 86 კაპ.

ფული მიიღება „კომუნისტის“ მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ., № 34).

თბილისის საბჭოს საარჩევნო კამპანია

რაისაბჭოები იბრძვიან პირველობისათვის

თბილისის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შეჯამებული იქნა საანგარიშო კამპანიის 1-ლი პერიოდის შედეგები 14 ივნისისათვის. აღმოჩნდა, რომ თბილისის რაიონულ საბჭოებს შორის ფარდობი არის გაწეული შეჯიბრება კამპანიის უკეთ ჩატარებისა და გამარჯვების მოპოვებისათვის.

ლენინის რაიონში დღემდე ჩატარებულ **ყველა საანგარიშო კრებებს** უნდა დასწრებოდა **4.228** ამომრჩეველი, ხოლო ნამდვილად დაესწრო **3.826** ამომრჩეველი, დასწრება 78,6 პროცენტს უდრის.

სტალინის რაიონში ყველა ჩატარებულ კრებებს უნდა დასწრებოდა 9.388 ამომრჩეველი, დაესწრო 7.163 ამომრჩეველი, **ანუ 76,2 პროცენტი. 26 კომუნ. ხალ. რაიონში** საანგარიშო კრებებს უნდა დასწრებოდა **3.886** ამომრჩეველი, დაესწრო 7017 ამომრჩეველი, ანუ 87,9 პროცენტი. **ორჯონიკიძის რაიონში** ჩატარებულ საანგარიშო კრებებს 9240 ამომრჩეველს ნაცვლად **დასწრო 7.344** ამომრჩეველი, ანუ 79,3 პროცენტი.

ამ ციფრების მიხედვით, სჩანს, რომ ყველაზე **წინ მიდის** ორჯონიკიძის რაიონი, **სადაც დასწრება 79,3 პროცენტს** უდრის, **შემდეგ მიდის სტალინის რაიონი, ლენინისა-ნი და სულ ბოლოს 26 კომ. ხალ. რაიონი.**

ორჯონიკიძის რაიონიდან წარმოდგენილი ცნობების შემოწმებისას აღმოჩნდა, **რომ ზოგიერთი** მოწოდებული ცნობები **ძრ** შეეფერება სინამდვილეს. გარდა ამისა, **ორჯონიკიძის** რაიონში აღმოცენა ჰქონდა **საანგარიშო** კრებების ხშირ ჩაშლას, რაც ხელმძღვანელობის სისუსტის შედეგი იყო. თუ ამ გარემოების მიუხედებთ მზედველობაში, მაშინ ყველაზე დაწინაურებული რაიონი აღიარებული უნდა იქნეს **სტალინის რაიონი.**

საჭიროა თბილისის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ ადგილობრივად შეამოწმოს რაისაბჭოებიდან წარმოდგენილი ზოგიერთი ცნობების სისწორე, რომ საბოლოო შედეგების შეჯამებისას არ იქნეს დაშვებული შეცდომა.

დღეს საანგარიშო კრებები დანიშნულია

სტალინის რაიონში — გარაჟი № 2 (ვაკის ქ. № 30), 4 საათზე, მომხსენებელი **ამხ. რაზმაძე.** 1-ლი სამკერვალო ფაბრიკა (წინწილის ქ; № 8), 3 საათზე. მომხს. —**ამხ. თავშავაძე,** სახვაჭრობის და კოოპერაციის კავშირი (ყორესის № 3), მომხსენებელი **ამხ. ფირიაშვილი.**

ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენზე

წარდგენილია ამიერ-კავკასიის ხუთი რკინის გზელი

გზათა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა გზების სამმართველოებს — ლენინის და შრომის წითელი ორდენით დასაჯილდოებლად შეირჩინონ კანდიდატები, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი სამრეწველო-საფინანსო გეგმის ორგანიზაციისა და შესრულების საქ-ში, გამოიჩინეს შრომითი გმირობა და თავდადება, რაც გამოიხატა მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილებაში და ხ.წ.ა. ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სამმართველომ დასაჯილდოებლად წარადგინა:

1. **მარკარიანი გიორგი იოსების-ძე,** მე-2 დისტანციის უფროსი, საგზაო ტეხნიკოსი (სამხრეთის ხაზი).
2. **მაკარაშვილი არტემ ევგენის-ძე, თბილისის** დეპოს ზეინკალი.
3. **შმელევი ივანე,** სამტრედიის დეპოს მონტიორი.
4. **ცაგარელი კირილე სპირიდონის-ძე,** — სარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს გამგის მოადგილე.
5. **რომანიშვილი ივანე,** — ბაქოს დეპო (ადს).

ამხ. კრილენკოს ჩამოსვლა

23 ივნისს თბილისში ჩამოვა რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი — პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. კრილენკო. ამხ. კრილენკო წაიკითხავს ლექციას პამირის ექსპედიციის შესახებ, რომელიც მოწყობილი იყო მისი ხელმძღვანელობით (ადს).

ხანძარი საქნავთის ჰაბურღილზე

წითელი-წყაროს, 13 ივნისი. 13 ივნისს ღამის 11 საათზე ცეცხლი გაუჩნდა მირზაანის სარეწაოს № 7 ჰაბურღილს, ჰაბურღილი სრულიად დაიწვა.

გამოყოფილია კომისია ხანძრის მიზეზების გამოსარკვევად. (ადს).

ოფიციალური განკოფილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ახალი შენობების აგებისა და არსებული შენობების დაშენების დროს საავშენებლო ორგანიზაციების მიერ ფასადების არქიტექტურული გაფორმების წესების დაცვის შესახებ

შენობების (როგორც ახლად ასაგები, ისე დასაშენებელი) ფასადების არქიტექტურული გაფორმების დროს ხშირად არ ექცევა ყურადღება ფასადის მთლიანობას (დაშენების დროს) და სათანადო გაფორმების წესებს (ახლად ასაგებ შენობებზე).

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—მიაქცინონ განსაკუთრებული ყურადღება ახლად ასაგებ შენობათა ფასადების არქიტექტურულ გაფორმებას.

ადნიშნული ორგანოების სათანადო დაგენილებანი სავალდებულოა ყველა საამშენებლო ორგანიზაციათვის.

2. წინადადება მიეცეს ყველა საამშენებლო ორგანიზაციას — არსებულ შენობებზე სართულების დადგმის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფასადების არქიტექტურულ გაფორმებას. როდესაც დასაშენებელი შენობის ფასადი წარმოადგენს განსაზღვრულ არქიტექტურულ ღირებულებას, აღნიშნული გაფორმება უნდა სწარმოებდეს ისე, რომ ახლად დასადგმელი ნაწილის ფასადი არქიტექტურულად შეესაბამებოდეს შენობის არსებული ნაწილის ფასადს.

სხვა შემთხვევაში შენობის არსებული ნაწილის ფასადი არქიტექტურულად დაკავშირებული უნდა იქნეს ახლად დასაშენებელი ნაწილის ფასადთან.

ამასთანავე, საამშენებლო ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა დაიცვან კანონმდებლობით დადგენილი წესები ამ პირობა კვალიფიკაციის შესახებ, რომელთაც აქვთ პროექტის შედგენისა და სამშენიერო სამუშაოების უფლება.

შენიშვნა. დაშენების დროს სავალდებულოა მთელი შენობის ფასადის სრული რემონტი და განახლება.

როდესაც ახალი შენობა ან ახალი ნაწილი დაშენებული შენობა მაღალია მიმდებარედ შენობებზე, საამშენებლო ორგანიზაციები მოვალენი არიან გვერდის კედლები მთავარი ფასადის იერზე შეღებონ.

3. აიკრძალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებებით ქუჩის სიგანის შესაბამისად დაწესებული შენობათა ზღვრული სიმაღლის გადაბიჯება.

4. აიკრძალოს ახალ შენობათა ავება და არსებულთა დაშენება იმ ჭიშკების წითელი ხაზის ფარგლებს იქით, რომლებიც გაგანიერებულ უნდა იქნეს სათანადო წესით დამტკიცებული პროექტების თანახმად.

5. განისაზღვროს მთავარ ქუჩებზე ასაგებ ახალი შენობებისა და დასაშენებელი შენობების სართულთა მინიმალური რაოდენობა:

ა) ქალ. ტფილისსა, ჭუთაისსა, ბათომსა და ფოთში—სამი სართული;

ბ) სხვა ქალაქებში—ორი სართული.

შენიშვნა. უკეთუ მთავარ ქუჩებზე მდებარე შენობა, ტექნიკურ მოსაზრებათა გამო, არ შეიძლება მოეწეულ იქნეს ამა მუხლში აღნიშნული სართულთა მინიმუმამდე, იგი იგულისხმება როგორც დასაქცევი შენობა. ასეთი შენობის კაპიტალური რემონტი აკრძალულია.

6. დაევალოს ყველა სამშენებლო ორგანიზაციას—გადასინჯოს ახალ შენობათა და დასაშენებელთა მშენებლობის პროექტები (მიუხედავად იმისა თუ რამდენად რიგიანობისა უკვე არიან ესენი პროექტები) მათში საჭირო ცვლილებების შესატანად ამა დადგენილებისა და მის განსორციელებისათვის გამოსაცემი ინსტრუქციის შესაბამისად.

შეცვლილი პროექტები წარდგენილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად სათანადო ორგანოებში ერთი თვის ვადაზე დღიდან შეცვლისა.

შეცვლილი პროექტების დამტკიცების შემდეგ სამშენებლო ორგანიზაციები მოვალენი არიან ერთი თვის ვადაზე შეუდგნენ მუშაობას.

7. ინსტრუქციას ამა დადგენილების განსორციელებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ კონსტანტინეს მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: რეზ. ჟ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: ხ. თოდრია.

1932 წ. მაისის 13
თბილისი.

თეატრი და ხელოვნება

— დღეს იბრუნებს სცენაზე კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით აწყობილ სახელმწიფო დრამის თეატრში. ერთი თვის შეწყვეტის შემდეგ თეატრი სახალხოლოდ გაემზადება სტალინის, სადაც წარმოდგენებს გამართავს ახლად დამთავრებულ რკინისზეითა კლუბში. **სტალინის** ს გარდა თეატრი სამსახურს გაუწევს სურამს და ბორჯომს.

— დღეს ბათომში იწყება რუსთაველის თეატრის გასტროლები. სავსებერლო რეპერტუარში შეტანილია „ანზორ“, „ლამარა“, „გაზაფხული“, „სალტე“, და „ლეკოძლი“. თეატრი ბათომში დარჩება ერთი თვე.

—:—

დღეს, 15 ივნისს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ტრიფონ ზარმენაძის პიესა **„სტუმარ მახპირძლობა“.**

ჯ. ცაცანაშვილი.

დღეს მაუდის ფაბრიკაში აკადემიური გუნდი კომპოზიტორ **ქ. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით **გამართავს** უფასოდ ამ გილობრივი მუშებისათვის **ინტერნაციონალურ კონცერტს.**

—:—

ფიზკულტურა და სპორტი

— 11 და 12 ივნისს, თბილისში თამაშობდა ბათომის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. პირველ დღეს ბათომს წინააღმდეგ გამოვიდა სარემონტო ქარხნის გუნდი. შეჯიბრება დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით 2:1.

მეორე დღეს თამაში მიმდინარეობდა ძლიერ წვიმაში. მიუხედავად ამისა, შეჯიბრება მეტად ცოცხლად ჩატარდა. და დამთავრდა 1:1. ამ დღეს ბათომელებთან თამაშობდა კალინინის სახელობის ქარხნის გუნდი.

ამ ეამად თბილისში იმყოფება სამარკანდის (უზბეკისტანი) ფიზკულტურელთა გუნდი, რომელსაც უკვე ჰქონდა პირველი შეჯიბრება სარეწაო კოოპერაციის, გუნდთან. შეჯიბრება მოიგო სამარკანდმა 3:2. დღეს, 15 ივნისს, სამარკანდთან თამაშობს თბილისის „დინამო“.

კარტიული და საბჭოთა კანონმდებლობა

16 ივნისს, დღის 2 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. ავსხალაშვილის (ოთახი № 3) მოწვეულია თათბირი ტექნიკუმებში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში სამუშაო საკითხებზე. სხვა საკითხებთან ერთად განსახილველად დაისმება საკითხი ამ დაწესებულებების ხელმძღვანელობის ბრალეულობის შესახებ.

ყურადღება!

15, 16 და 17 ივნისს ა. კ. და საქ. საკონტროლო კომისია, მუშკლუბი, „პრავდა“-ს ა. კ. საკორესპონდენტო პუნქტი, „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“, „კომსომოლსკაია პრავდა“-ს ა. კ. განყოფილება, „მუშა“, „ტიფლისკი რაბოჩი“, „მოლოდოი რაბოჩი“ და „პროლეტარი“—თბილისში და საგარეთნო საბჭოთა მეურნეობებში

ატარებენ მასიურ რეიდს

გოსტნეულის კამპანიისათვის მზადების შესახებ.

პრესის თითეული დამკვრელის მოვალეობაა—აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ მასიურ რეიდში.

პრესის დამკვრელთა შეკრება მოხდება „პრავდა“-ს საკორესპონდენტო პუნქტზე (რუსთაველის პროსპ. № 41) დილის 9 საათზე.

სსრ. ს.ა. პარტ. მიწა-წყლის ზედაპირულ ნაწილის ბელოვანი ნაკეთობების ტრესტი

15 ივნისი
სეზონის დაბურება
ა. ოფიციანტების
შ ი შ ი
ამხონ. გარეშე.

დასაწყისი სრული 8 ნახ. საათზე. ნ. 961

ზმოვანი კინო
ოქტომბერი (ყ.-ამოლო)
12 ს. 2, 6-30. 8-30, 10-30.

დამკვრელი (საზაფხ.)
ჯოფ. ბაღში)
დასაწყ. 9 ს. 10-45.

დამკვრელი ზამთრის
7 ს. 30 წ., 9, 10-30

ჰინო დარბაზი საზაფხ.
დასაწყ. 9 15. 11 ს.

ე თ ე რ ი (საზაფხ.)
9 ს. და 10 ს. 45 წ

დღის კინო
ს პ ა რ ტ ა კ ი
დასაწყ. 12, 1-30, 3 ს.

საღამოს კინო
ს პ ა რ ტ ა კ ი
დასაწყ. 7-30, 9, 10-30.

რ ლიუძემბურ. ხალ. კინო ყოფ. მანეონი)
დასაწყ. 8, 9-30, 11.

ახალი მხატვრული ისტორიული ზმოვანი ფილმი
„მაყდარი სალლი“

ადა ვოიციკი, კოზულ-სამბარსკი
სურათში **„ეე-41“** რეჟისორი პროტაზანოვი

ა. თოთიძე, კ. ეგერტი სურათში
ქალაქში შესვლა არ შეიძლება

ამერიკული მხატვრული სურათი
— ღამის ვეჩირილი —
ცნობ. ნაგაზ რინ-ტინ-ტინის მონაწ.

უცხოეთის მხატვრული ფილმი
გუსტავ ფლობერის რომანის მიხედვით.
სალამბო

„მთების კანონი“

„თავადის ასული მერი“
მ. ი. ლერმონტოვის მიხედვით.

მხატვრ. სურათი **„ნორდ-ოსტი“**
(სურათ პორტას გაგრძელება)

თბილისის საბჭოს სახსურსათო საგუთაგის სექცია

აცხადებს წარმოება-დაწესებულებების სამკუთხედების საყურადღებოდ,

რომ ა/წ. 6 ივნისიდან ის შეუდგა მე-III-ე კვარტალის სასურსათო ბეტონების დარიგებას მოსახლეობისათვის მარაგ-სამეულების მეშვეობით, რაც უნდა დამთავრდეს 20 ივნისამდე, მაგრამ სამკუთხედები აგვიანებენ მუშა-მოსამსახურეებისათვის ცნობების მიცემას, რის გამო მარაგ-სამეულები დროზე ვერ ადგენენ სათანადო სიებს რაიონებში წარსადგენად.

რომ საბუთების გაცემა აღნიშნულ დროისათვის დამთავრდეს, სამკუთხედები ვალდებულნი არიან საჩქაროდ მისცენ ცნობები მუშა-მოსამსახურეთ; ცნობების გაცემის დაგვიანება გამოიწვევს კამპანიის ჩაშლას და მუშა-მოსამსახურეთა მომარაგებიდან მოხსნას, რაშიაც პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება სამკუთხედებს.

მარაგ-სამეულებმა სახ. საბუთების მიღებისას უნდა წარმოადგინონ თითო საბუთზე 40 კაპ. და დამატებით რძის ტალონებზე 20 კაპ.

თბილისის საბჭოს სახ. საბუთების სექციის გამგე: შოშნაძე.

2—2 ნ. 958

თანახმად საბჭოთა კავშირის მიწსახკომის ა. წ. 27 აპრილის დადგენილებისა (ოქმი № 27) და საკავშირო ერბო-კარაქის ტრესტის ა.-კ. განყოფილების ბრძანებისა ა. წ. 31 მაისიდან № 204 საკავშირო ერბო კარაქის ტრესტის ა.ჯ. განყოფილების დანაწილების შესახებ ა. წ. 1 ივნისიდან შეუდგა მუშაობას საქართველოს ხ. ხ. რესპუბლიკის ერბო-კარაქის ტრესტი

საქველკარაქერგიონტრესტი

საქველკარაქერბოტრესტის შემადგენლობაში შეიკიდენ ყ. საკავშირო ერბოკარაქტრესტის ა.-კ. განყოფილების ახალქალაქის, ბაშკირეთის, ქლებულახის, ბოგდანოვკის და კარაბულახის საბჭოთა მეურნეობები.

საქველკერბოკარაქის ტრესტის საფოსტო მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 39 მის ამართი დეპეშებისათვის: თბილისი **ხაქველკერბოკარაქტრესტს.** 2-15. 963

15/VI 32 წ. მოწვეულია სრულიად საქართველოს თ/ა ცენტრალური საბჭოს მე-IV

ს ე ნ უ მ ი

რომელიც გაიხსნება საქართველოს პროფკავშირთა დიდი დარბაზში 19 საათზე (სალომის 7 საათზე).

დღის წესრიგი:

1. საქ. თ/ა ცენტრალურ საბჭოს 1931 წ. მუშაობის ანგარიში და 1932 წ. გეგმის შესრულების მსვლელობა.
2. მუშაობის გარდაქმნა ს. ს. ს. რ. კ-ს თ/ა ცენტრალური საბჭოს მე-III გაფართოებულ პლენუმის დადგენილების საფუძველზე.
3. სპორგანიზაციო საკითხები.

9326 ს. ხ ს. რ თ/ა ც-ს პრეზიდიუმი

მალე საბჭოთა ხიდი

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვლოს გაუქმებულად

კავშირის წ. ჭყონია პეტრეშვილის № 1875, სიკრ მაილოვის **№ 64826. კოოპ. წ.** ნესტორ ლილუაშვილის **№ 266. სამხედრო წ.** ივანე ბერიშვილის, **სხვა და სხვა.** პარტსაწევრო მანდატი № 0647656 დავით დვალის. ჰუმანიტარულ ტეხნიკუმის მოწმობა № 208 ნინა გვახვასი, სა შუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 31 დავით ლაცაბიძის.

იყიდება ნახმარი ხის მასალა: კოჭები, კარები, ფანჯრები, დარაბები და სხვ. წვრილმანი მასალა რეიზოვის ქუჩა 17. 6 საათიდან მე 2-ე თუმანოვის ქ. ზემოთ. 9145

სულ მოკლე ხანში ვასწავლიგ ხელს წერაში
რუსულ და ქართულ ენებზე
პროფ. კოსოდოს მეთოდით.
ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი) კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან. 9297

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინ ინსტიტუტები
ხანის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს ხანის ყოველგვარ ხარვეზებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქნეილას, თმის გაცვენას, ქერტს და სხვ. ძველაძის ქ. № 22. 13—3 5464

დამწუხრებული მშობლები: შაქრო, ნინო, ძმა გიორგი, მეუღლით მარო, ბავშვით რობერტი იუწყებიან მათთვის საყვარელ

ნინა ლეიაშვილის

ვერაგულად დაღუპვას. დაკრძალვა 17 ივნისს მაღაროში.

დაშეთის კომკავშირის რაიკომი მწუხარებს გამოსთქვამს აქტიური კომკავშირელი მასწავლებლის

ნინა ზაქარიას-ას. ლეიაშვილის

ვერაგულად სიკვდილის გამო. გამოსვენება 15 ივნისს დუშეთიდან მაღაროში (სიღნაღის რაიონი).

ვარლამ და გაიანე კუნჭულიები შვილებით: ვანო და შედია ჩხაიძეები მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფასი

სიმონ გრიგორის-ძე ჭანიაშვილის

გარდაცვალებას. 9311

გაუტეხელურებული დედა სოფიო, მეუღლე ნადია, შვილები: ლოლია, არტემ, ჯულიეტა ბაბაჯანოვები იუწყებიან მათთვის ძვირფას დაუვიწყარ

საშა ბაბაჯანოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5-ას ს. დაკრძალვა ხოჯივანქის საავფლაოზე. 9318

გულდამწვარი სიდედრი ქრისტინა, ცოლისძმა ვარლამ ასათიანი ცოლშვილით, ცოლისდები: მაშიკო ჯაფარიძე შვილით თინათი, ლიზა შიოშიანები ქმარშვილით იუწყებიან ძვირფას

საშა ბაბაჯანოვის

გარდაცვალებას. 9318

გრიგოლ მიქაიძე და სუსანა პეტრესაშვილი ვართანეულები შვილი შვრათი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი მოგობრის

ალექსანდრე არტემის-ძე ბაბაჯანოვის

უდროოდ გარდაცვალებას. 932

დედა ნატაშა, ბიძა ლონტი ფიოცხალავები შვილებით დიდ მწუხარებას გამოთქვამენ მათთვის მუდამ დაუვიწყარ და საყვარელ

ვენიკო გერასიმეს-ძე ლორიას

უდროოდ გარდაცვალების გამო. 9310

თამარა და ალექსანდრე წერეთლები, შვილი ხათუთათი გულდამწუხარენ ალეკოვებენ იშვიათი ადამიანის, უბლოვესი მეგობრები

ვენიკო ლორიას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, ბათომში. 9310

დიდათ დამწუხრებული მშობლები: კოწია, თოია, დები: შუშანიკა: ანტონა, და გაუბედურებაკი, ძმა ამროსი იუწყებიან მათთვის ძვირფას, საქართველოს პედინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტის

ირაკლი კოწიას-ძე კვირკველიას

უდროოდ დაკარგვას. 9324

სამუდამოდ თავზარდაცემული ძმა ამროსი კვირკველია იუწყებს ნაცნობ-ამხანაგებს მისთვის ძვირფას ძმის

ირაკლი ს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 ივნისს ს. ჩხოროწყუში. 9324

ს. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომი, რაიაღმასკომი, პროფსაბჭო ღრმად მწუხარებით იუწყებიან განათლების განყოფილების ყოფილი ინსპექტორის, ამჟამად პედინსტიტუტის 1-ლი კურსის სტუდენტის

ირაკლი კვირკველიას

უდროოდ გარდაცვალებას. 9324

ბინკომმშენის 1-ლი უბნის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ უფროსს ბუხბაღტერის. დ. მაჭავარიანის მეუღლის

ი უ ლ ი ა ს

გარდაცვალების გამო. 9334

უახლოესი მეგობრები: მ. ბარამიძე, ვ. ჯავრიშვილი, შ. შავიშვილი, მ. მეგრელიშვილი, შ. თავზარაშვილი, ვ. ფეიაძე, რ. სპარინაშვილი და ა. კეკელიძე მწუხარებით იუწყებიან მეგობრის დავით მაჭავარიანის მ უღლის

იულია მაჭავარიანის

გარდაცვალებას. 9332

ტფილისის საბჭოს საავმშენებლო ტრესტი „ბინკომმშენი“-ს ცენტრალური აპარატის საანარიშო დარკის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან თანამშრომელ დავით მაჭავარიანის მეუღლის

იულია მაჭავარიანის

უდროოდ გარდაცვალებას. 9313

სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია და მეშა-მოსამსახურეთა ადგილკომი იუწყებიან სავჭირო სახიტარულ პროფილაქტიკური ფა კულტეტის მე 2 კურსის სტუდენტის

ელენე ივანეს ას. ქადაგიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 1-ლ საავად მყოფოდან 15 ივნისს 3 საათზე, ვერის სა საფლაოზე. 9313

სამედიცინო ინსტიტუტის სანიტ. პროფ. ფაკულტეტის მე 2 კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ინსტიტუტის სტუდენტ. ძვირფას დაუვიწყარ

ელენე ქადაგიძის

უდროოდ დაკარგვის გამო გამოსვენება 1-ლ საავადმყოფოდან 15 ივნისს. 9314

საიქიმო სანიტ. ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს, ძვირფას

ელენე ქადაგიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 9315

თ. ქიქოძე-ტექნოლოგიური ინსტიტ. ადგილკომი მწუხარებით იუწყება ინსტიტ თანამშრომელს

ფეოდოსია ჯაბუშაშვილის

უდროოდ დაკარგვას გამოსვენება ყოფ. არმიანის საავადმყ. 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე. 9329

საქ. პედ. ინსტიტუტის 1-ლ კურსის ფილოსოფიური სექცია მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სექციის სტუდენტის, ძვირფასი ამხანაგის, ძველი კომკავშირელის

ირაკლი კოჩიას-ძე კვირკველიას

გარდაცვალების გამო. 9319

დგიდაშვილები ეკვირიანე და მარო შვილებით: ვლადიმერ, ვერა, ნადია და გუჯუბა ფანცულაიები იუწყებიან

ლადო კასაბაშვილის

უდროოდ დაკარგვას. 9312

დგიდა ელისაბედი შვილებით: ილია, ბაბო ოლია, ლიუბა რძალით და ღუტუ რუბაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ლადო გიორგის-ძე კასაბაშვილი

9316

მშობლები: ძაძუ, სილოვანი, ძმა მიშა, და მარგო, ბიცოლა მაშო, ბიძაშვილები: ვერა ქმრით, პაველ. აყუნინა, კუკური ნიკოლაიშვილები იუწყებიან

კუკუცა (ნადეჟდა) ნიკოლაიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება ბათომში 16 ივნისს, 4 საათზე, კამოს ქ. № 7. 964

უახლოესი ამხანაგები: ალიოშა ძოწენიძე, კოწია ელიაშვილი, ვალიკო ჯაფარიძე ევგენი კაკაბაძე, ვასიკო ტურაბელიძე, შალიკო ჭავჭანიძე, შალიკო გაჩეჩილაძე უღრუს მწუხარებას გამოსთქვამენ პროკოზორი

ვლადიმერ კასაბაშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო 9309

ცხკავშირის საორგანიზაციო სექტორის მუშაკები: დუგლაძე, წვერავა, ბუაჩიძე. კალანდარიშვილი, ალკ ცხკ თბილ. კომიტეტის, ყველა რაისაბჭოების, სქკ. ბინკავშირის, ყველა რაიბინკავშირების, განსაკ.კომის, ჯვნისაკომის, თბ. საბჭოს ჯვაშვრომელობის განყოფ., თბილ. სახ. განათლ. განყოფილება, ცეკავშირი, სქკ. პროფსაბჭოს, კალრების განყ., კულტმომსახურების სექტორი, თბილ.ის კალრების სამმართველო, სქკ. და ან.-კავ. მს. მრეწვ. კომისარიატის, სქკ. და ამ-კავ. მძიმე მრეწვ. კომის. რწმენებულის.

ჯ ა ნ დ ი ო ზ ი ს

გარდაცვალების გამო. 9330

დამწუხრებულნი: მეუღლე ბესარიონი, შვილი ჯემალიკო სტურუები. მშობლები: სოხა. ბიკტორ, ძმები: ალიოშა, ჯრიშა, არჩილ გაბეავები იუწყებიან, რომ დაუვიწყარ

ძსენია გაბეჭავა-სტურუას

მოსაგონებლად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ს. კულაშში 18 ივნისს. 9327

ღრმად დამწუხრებულნი: დები თამარა ჯანდიერისა შვილებით და რძლებით, ნინო ფავლიაშვილია შვილებით და სიძეებით აუწყებენ სახოგადოებას. რომ 12 ივნისს, თელავში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი ძმა და ბიძა

მიხეილ გიორგის-ძე ერისთავი

9328

შვილები. პლატონი, მისეილი, კატო, გრიშა, სიმონი, რძლები: სუსანა, ოლა. თამარა, კუკუნია, პოლინე შვილისშვილებით იუწყებიან

**ანდიოზ ფარ